გადავედით გულის ყინვარზე. კლდოვან ქედს თოვლიანი ღარი მიჰყვება. ამ ღარით დაიწყო ასვლა. წინ იაგორა მიდის. ერთი საათის შემდეგ ღარი აიარეს. კლდეებით გადადიან მარჯვნივ—მეორე ღარში. ეს ღარი უფრო ვიწრო და მაღალ კორიდორს ჰგავს. დაქანება 65°. შორიდან ის სრულებით შევეული მოჩანს. წინ ისევ იაგორა მიდის. სტრის თოვლში საფეხურებს. სვანების რწმენით სწორედ ამ ვიწრო ყელში ჩამჯდარა მთების დედაფალი—დალი. ის იცავს თავის სამფლობელოს და ოქროს აკვანს უზბაზე. თავის ბროლის თითებით ამტვრევს გრანიტის კლდეებს და ჰყრის ღარში. ქვა ხან ერთ და ხან მეორე კედელს ეტაკება, გრიალით და შხუილით მიდის ქვევით, მოიჭრება ღარიდან და გულის ყინვარზე ცვივა.

300 მეტრია ასავლელი სულ ამ ღარით, მაგრამ სამასი მეტრის ავლა ოთხი საათი ღირს. ოთხი საათი საუკუნეა, როცა ყოველ წუთში სიკვდილის მოლოდინში ხარ.

300 მეტრის ნახევარი იყო გავლელი, რომ 4 მხიდავმა უარს თქვა ბარგის წადებაზე. მთასველელებმა ისინი თოვით ჩამოუშვეს. შემდეგ ისევ დაიწყეს ასვლა. მოწინავე მიაღწა ღარის თავს. ახლა საჭიროა კლდეზე ასვლა. როგორც იქნა, წვერამდე შედგომით ლევან მარუაშვილი და გიო ნიგურაძე აცოცდნენ ღარიდან კლდეზე. აქ არის პატარა ბაქანი, სადაც შეიძლება ღარის თევა. სიმაღლე 4000 მეტრი. ავიდა იაგორა, ალიოშა, სანდრო, ალექსანდრა. ახლა მხიდაველების მიერ დატოვებულ ბარგს ჩაუბრუნდა გვალა და ალიოშა და ისევ შეუდგნენ ღარს. ქვები შხუილით ცვიოდა და მთასველელები კედლებს ეკვრებოდნენ.

გაიმართა ბანაკი 4070 მეტრზე. დალაშქრა. ერთი მხრით ღარია, მეორე მხრით თითქმის შევეული კლდეები, რომელიც დასცქერის დასავლეთის კალთას ე. წ. „ჰალსტუხს“. მართლაც, ეს თოვლიანი ქედი „ჰალსტუხით“ ჰკიდია უზბას ღარს.

დალაშქრა და ბანაკმა ცეცხლი დაანთო. ეს იყო პირველი ცეცხლი უზბაზე და ის იქ პრომეთეს არ მიუტანია. ბერის თემის ყველა სოფელი უყურებდა ამ ცეცხლს. ყველა გულის ფანქვალით მოელოდა მეორე დღეს. იმ ღამეს ბერელებმა გვიან დაიძინეს. მთვარე ამოვიდა. უზბა, გულბა, გაღმით ლაპილა და უსახელო მწვერვლები იდგნენ, როგორც უცნაური მაყურებლები.

მეორე დღეს დილით ადრე გამოვდით მთასველელებს. ალიოშა და იაგორა გზის დასახვერად წავიდნენ.

29 აგვისტოს ოთხი მთასველელი სამხრეთის ქედიდან დაეშვა ქვევით, ე. წ. „ჰალსტუხზე“, რომ თოვლიანი ქედით მიღწია უზბის შევეულ კედელამდე, რომელსაც ჩვენ უზბას კისერი ვუწოდებთ. სწორედ ამ კისერზე ჰკიდია მას ჰალსტუხი. ალიოშა, იაგორა, გიო და ალექსანდრა დაემუშვნენ ძირს თოვლებით. ნაპირებს თოვლიანი ქედი და მარცხენა ნაპირზე იწყეს ასვლა. ხან კლდით მიდიოდნენ, ხან თოვლზე. შედარებით სწრაფად მიდიოდნენ. საღამოს 4 საათი იქნებოდა, როცა



1. წყნარი ზღვა

ალარ ეტევა ხალისი გულში, ბედნიერება ზღვაზე დიდია. ჩავიდა, ჩაქრა რაც მწვერვალ გუშინ თუმც სიკაბუჯის წლებიც მიდიან.

ჩაქრენ ტალღები. სიღარბისლე ზღვას წაფარა—ნაზი არსება. თუ ქარიშხალმა არ დაჰკრა ისევ, ნეტავ ზღვა მაშინ რას ემსგავსება?

2. რომანტიული საღამო

უკვე აგრილდა. მზე ზღვამ ჩაქრო და ღრუბლებს ცეცხლი წაეკიდება. თეთრი იალქანით მიდის სალაშქროდ რომანტიული სულის დიდება.

როგორც სავსეა ეს ზღვა ზვირთებით, გაავსე გული შენც სიყვარულით. და შეარბიე ცეცხლიან ფრთებით, რაც ჩემში იყო მუდამ ფარული.

3. ვაზის ფოთლები

ვაზის ფოთლებიდან ჩრდილის სისვოს რა-ცა, ვხედვ: ეს ქთქარის თეთრი სურთა. ტალღების მიძიე შფოთვამ დამდალა და სიყვარულიც მეტად მწყურია.

აქ სააღერსო ფიქრი დამჩემდა: ეს არის მოგწვედი... მოგიახლოვდი. როგორც ეს ტალღა, ახლოს ხარ ჩემგან-კარგია მაინც: თუ კი გახსოვდი.

4. სიტყვა ფარული

მკერდს ეღვრებოდა მედვას თმები, როცა იახონს მიჰყავდა ნავით. ასე იღვრება კალმით რითმები თუ მზის ზოდების გულში დგას ხვავი.

ვაზის ფოთლებში ჩამოპარული—ლულუნებს მთვარე—ღამის მქსოველი. მიწვევს ბრძოლაში სიტყვა ფარული, რომანტიული სული ცხოველი. მაინჯაურს.

ჯგუფმა მიაღწია უზბას მოღვრებულ კისერს. ვინ იცის, შესძლებენ მთასველელები ხელი სტაციონ ყელში უზბას და დამიორჩილონ უზბა, თუ იგი ერთი ძლიერი შერხვეით ჩამოიბერტეს ამ აბეზარ ხალხს.

აქ ბუნებას გაუკეთებია პატარა კარნიზი. ის მიჰყვება ძირში შევეულ კედლებს თოვლიან ქედს ზევით. ვერ ვიტყვი, რომ სასიამოვნო იყოს ამ კარნიზით გავლა, რადგან თვალს უნებურად იხილავს 2000 მეტრიანი უფსკრული. საკვირველია: როცა ამხანაგი დგას ნაპარათთან მისი გადავარდნის უფრო გეშინია, როცა თვითონ დგახარ, მაშინ უფრო იმედიადად ხარ.

აქ კარნიზე ადამიანის ხელს აუშენებია გრანიტის ქვებისაგან პატარა წიფე. ეს არის იმ უცხოელი მთასველელების ბინა, რომლებიც ასულან წვერზე. ჩანს, ისინიც ამ გზით მიდიოდნენ. მეტი გზა არ არის უზბაზე.

ცოტა კიდევ წავიდნენ წინ, მაგრამ მალე ბინდი დეცა მიდამოს. იაგორა და გიო გამობრუნდნენ. დამე მთასველელების ნაბინ ვარში გაათვის. და-მა ჯაფარიძე-ბინ ჩამოსხდნენ კლდეზე. ეს იყო გათენების მოლოდინის ღამე.

გათენდა 30 აგვისტო. მზე მხოლოდ უზბას წვერზე იყო. ჯგუფი ერთად შეუდგა დასავლეთის კედელს. სამხრეთით ეს კედელი სრულებით შეველია. მივიღე დღე 200-300 მეტრზე მეტი ვერ გაიარეს. 11 საათზე ისევ შევეული კლდე გადავლობათ. ოთხი საათი ეძიეს გზა. ვერ აღმოაჩინეს. დაბრუნების და დამარცხების არდილი ჩამოწვა. გიო ბუზღუნებს: აქ კაცს არ გაუვლია. აქ კაცი ვერ ავა. ალიოშა ჩუმად ამბობს: როგორ ავიდნენ უცხოელები? ხომ ავიდნენ ისინი?!

— არა, კაცო, არ ასულან—უბასუხებს გიო.

გზა აღმოაჩინა ალექსანდრამ და გიომ გაიარა ამ გზაზე პირველმა. აქ აღმოჩნდა უცხოელების მიერ დატოვებული პალაო. უკვე ბინდი ჩამოწვა. ალექსანდრა ჯაფარიძემ დაარტო კლდის ნახეთქში რკინის პალაო. როგორც გამოაბა თოკი, მიემარა კლდეს და დარჩა ღამის გასათევად იქ. დანარჩენები დაემშენ ქვევით, რადგან ამ კლდეებზე მეტის დარჩენა ღამით შეუძლებელი იყო.

30 აგვისტოს ღამით კვლავ გამოჩნდა ცეცხლი უზბაზე.

სვანები მდუმარედ და შიშით უტყერდნენ ცეცხლს.

მეორე დღეს მთასველელები ადრე ავიდნენ ალექსანდრასთან. უცებ აიარეს შევეული კლდე და განაგრძეს გზა. 12 საათი იქნებოდა, როცა უკვე გამარჯვებაში დაიმედებულნი წინ გადავლობათ მოლიპული ღარი. გიო მხეცივით ბორბავდა, ალიოშა დაღვრემილი უტვავდა. ბოლოს გიომ გაიხადა ფეხზე და შიშველი ფეხებით შეადგა ალიოშას მხრებზე. როგორც იქნა, აცოცდა ღარში და მონახა პატარა ბზარი, სადაც დაარტო რკინის პალაო. ამ პალაომ გადაწყვიტა ასვლის ბედი. ჯგუფმა მიაღწია თოვლიან თხემს. თოვლით და კლდეებით სწრაფად მიიწვიდნენ წინ.

ნაშუადღევს 2 საათზე ჯგუფი წვერზე ავიდა. სიმაღლის მზომი აჩვენებდა 4.700 მეტრს. აქამდე სრულებით მოწმენდილი უზბა მოინისლა. წვერიდან არაფერი მოჩანდა. ეს იყო დამარცხებულის უკანასკნელი შურისძიება. ჯგუფმა იპოვა წინა ექსპედიციის საბუთები, რომელიც ჩამოიტანა და დასტოვა თავისი. საბუთების ძებნას და ბუდურუგანას აშენებას 3 საათი მოანდომეს. უკვე საღამო იყო. შევეადნენ წამოსვლას, მაგრამ მალე დალაშქრათ. ჯგუფი იძულებული შეიქნა იქ გაეთია ღამე. ეს იყო უძილობის ღამე. გიო შეეცადა სიმღერას, მაგრამ ამაოდ. დაანთეს მანძალები. ცეცხლი დაინახეს ქვევიდან. ეს იყო გამარჯვების აპოთეონი.

„კეფხის ტყაოსნის“ ტექსტის დადგენისათვის*)

მშპ. ბარნიძე

განახლებულ „ლიტგაზეთის“ მე-17 ნომერში კოსტანტინე ჭიჭინაძე ეხება რუსთველის იუბილეს საკითხს და, სხვათა შორის, სწერს: ნაწარმოების აკადემიური გამოცემა რამდენიმე ხნით უნდა გადაიდოს, რათა, ხალხში დარჩენილ ხელნაწერების ამოკრეფის შემდეგ, ხელმეორედ არ დაგვიტრდეს მუშაობის ჩატარება, თუმცა, დასძენს, ახალი აღმოჩენები ამ მხრივ მოსალოდნელიც არ არისო. „პოემის ტექსტი ძირითადად (თუ ძირითადად? ვ. ბ.) უკვე დადგენილად უნდა ჩაითვალოს. ამიერიდან ყურადღების ცენტრი ტექსტოლოგიური კვლევა-ძიებდან გადავა პოემის ათვისებაზე მხატვრული კრიტიკის მიერ (ხაზი ჩემია, ვ. ბ.) ხაზგასმულის პირველი ნაწილი ისე უნდა გავიგოთ, რომ კ. ჭიჭინაძეს აქ მხედველობაში აქვს თავისი ტექსტი: იგი მას ძირითადად დადგენილად მიაჩნია.

მე კი პირიქით ვფიქრობ: კ. ჭიჭინაძის გამოცემული „კეფხის

ტყაოსანი“ სწორედ ამ მხრივ, ამ ტექსტის დაუდგენლობით მოიკოტლებს ყველაზე მეტად. რას ნიშნავს ტექსტის დადგენა? სათანადოდ წაკითხვას და წაკითხულის სათანადოდ ახსნა-განმარტებას. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ეს ორი მხარე დაძლეულია, შეიძლება ლაპარაკი ნაწარმოების მხატვრულად ათვისების შესახებ.

მრავალთაგან აქ მხოლოდ ერთ ადგილს მოვიყვან იმის ნათელსაყოფად, რომ კ. ჭიჭინაძე ტექსტის დადგენის მხრივ არამც თუ ახალს რასიმე გვეუბნება, ზოგან კიდევაც ჩამორჩება ძველ გამოცემულთ.

როსტევეანი ავთანდილთან და სხვებთან ერთად ნადიმობს; ხეა-ლისათვის გადაწყვიტეს სანადიროდ წასვლა. ერთგვარი შეჯიბრება გამოაცხადეს: ვინ ვის? ეს ადგილი ასე თავდება.

[როსტევეანმა] მონადირეთა უბრძანა: „მინდორი მოიარენით, დასცვიეთ ჯოჯი მრავალი, თავნი ამისთვის არენით“ ლაშქარნი სამზოდ აწვივნეს: „მოდიოთ და მოიჯარენით“

და გაყარეს სმა და ნადიმი, მუნ ამოდ გავიხარენით.

კ. ჭიჭინაძე ამ ადგილს ასეთს შენიშვნას უკეთებს:

„პოემის ყველა გამოცემა ამ ტაეების უკანასკნელ სტრიქონს სტოვებს ბრჭყალების გარეთ, თითქოს იგი თვითონ ავტორის ნათქვამი იყოს და თვით ავტორი იღებდეს მონაწილეობას ნადიმობაში; ცხადია (ხაზი ჩემია, ვ. ბ.), ეს ადგილი ასე უნდა იბეჭდებოდა: ლაშქარნი სამზოდ აწვივნეს. „მოდიოთ და მოიჯარენით“, გაჰყარეთ (და არა გაჰყარეს) სმა და ნადიმი, მუნ ამოდ გავიხარენით.“ (გვ. 284).

სრული არცოდნაა ამ შემთხვევაში მეტად საჭირო, მაგრამ კ. ჭიჭინაძის მიერ უგულვებელ, ტექსტოლოგიურ კვლევა-ძიებისა.

ვთქვათ ჭიჭინაძისებურად: „გაჰყარეთ სმა და ნადიმი, მუნ ამოდ გავიხარენით“.

გაყარეთ აქ ბრძანებითა (ამიტომ გაყარეთ და არა გაჰყარეთ); როსტევეანი ბრძანებს, მორჩით, თავი დაანებეთ სმა-ნადიმსო. შემდეგ? მუნ, ე. ი. იქ ამოდ გავიხარენით. ნუთუ ქართულად შესაძ-

ლებელია ამგვარი წინადადება ბრძანებით კოლოში? შეწყვიტეთ სმა და ნადიმი, იქ (მუნ) ამოდ გავიხარეთ. სად, იქ? მბრძანებლისათვის, ბრძანების მომენტში, ნადიმის ადგილას, ეს იქ იქნება, თუ აქ? ცხადია, აქ! ამიტომ, ჭიჭინაძეს თუ შესწორება უნდოდა, სტრიქონის მეორე ნახევარიც უნდა გაესწორებია: „გაჰყარეთ სმა და ნადიმი, აქ ამოდ გვიხარენით“. მაგრამ იგი ამას ვერ იზამს, რადგან არავითარ საფუძველი არა აქვს. ისე კი, მარტო პირველი ნახევრის შესწორება, სიმახინჯეა. მაშ, რა არის ცხადი? ის, რასაც კ. ჭიჭინაძე ასწორებს? არა! ცხადია ის, რომ ჩვენ „კეფხის ტყაოსნის“ დადგენილი ტექსტი არა გვაქვს; განსაკუთრებით კ. ჭიჭინაძის გამოცემაში. მაშასადამე, ლაპარაკიც ნაწარმოების მხატვრულად ათვისების შესახებ ჯერჯერობით პირველად არ უნდა ჩაითვალოს, და სწორედ ასე ფიქრობდა ც. კ. როდესაც უნივერსიტეტს წინადადებას აძლევდა—სასწრაფოდ შესდგომოდა ტექსტის აკადემიურად დამუშავებას: იგია ძირითადი, მხოლოდ იგია ამ ეტაპზე პირველადი!

ამიტომ: ჯერ მომეცით ნაწარმოების მთელი მატერია და მხოლოდ შემდეგ მელაპარაკე მის „სულზე“.

*) საკითხის განხილვის წესით. რედ. ლიტ. გაზეთი

„სიუჟეტი არის ის, რასაც ჩვენ ვითვლით დაწერილის სახით. სიუჟეტი ამბავი არ არის, როგორც ეს ბევრს აგონია. ფაბულა არის ის ამბავი, რომელიც ჩვენ სიუჟეტურად არ შეგვიკრავს, ე. ი. არ დაგვიწერია და უნდა დავწეროთ.“ — წერს დემნა შენგელია თავის წერილში: „ფაბულის პრობლემა“ („ლიტ. გაზეთი“ № 18, 1934 წ. 6 ოქტომბ.).

კეთილი. დავისონით. „რომანის წერა შეიძლება არა უსიუჟეტოდ, აბამედ უფაბულოდ“...

ახლა გამოვიცანით: თუ ფაბულა ის ამბავია, რომელიც ჩვენ სიუჟეტურად არ შეგვიკრავს, ე. ი. არ დაგვიწერია და უნდა დავწეროთ, როგორ უნდა მოახერხოს მწერალმა რომანის დაწერა უფაბულოდ.

„განა ჩვენ საბჭოთა ნარკვევს, სიუჟეტი არა აქვს? უმეცოდ აქვს. მას არა აქვს მხოლოდ ფაბულა“ ე. ი. ნარკვევს კი არა სწერენ, არამედ ის თავისთავად იწერება და სიუჟეტურად იკრება.

„ფაბულის ჰიპოტროფია ნიშნავს ან კულტურის პრ. მიტივობას, ან დეკადანსს“.

„ამიტომ მე ვაყენებ საკითხს ფაბულის თუ სრულიად მოხსნისას არა, შენელებისას მაინც“.

ამხანაგო დემნა, გავგაგებინე რას ამტკიცებთ ამ თქვენი წერილით? ჩვენის აზრით ფაბულა არის ლიტერატურულ ნაწარმოების ზოგადი გეგმა, ხოლო სიუჟეტი ნაწარმოების შინაარსი.

*) ვთავსებთ ამბ. ა. ბელია შვილი ის რეპლიკას კამათის წესით. ნოველზე და მხატვრულ ნარკვევზე გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით ვიწყებთ დისკუსიას ამ საკითხებზე. ამბ. დ. შენგელია უპასუხება შემდეგ

კადამსია

ნოველა შემოქმედების უძველესი ფორმა, მას რომანზე უფრო გრძელი ისტორია აქვს და ეგრეთწოდებული „შეერთებული ნოველები“ იყო წინამორბედი თანამედროვე რომანისა. ამ გარემოებას ხაზი გაუსვა შ. კლივიკიმაძე და ასეთ შეფრთხულ ნოველებს ტიპურ ნიმუშებად მან მიიჩნია. „ფანჯატანტრა“, „საბასულხან ორბელიანის „სიბრძნე-სიკრუსის“ და სხვ. დამართლაც ძველად იშვიათად გვხვდებოდა ცალკეული ნოველა, უმეტეს შემთხვევაში სწორედ ნოველებს, რომელთა შორის იყო ერთგვარი კავშირი, თუმცა ხანდახან ძნელად შესამჩნევია. მუშუდავდა ამისა თითოეული მათგანი შეიცავდა სასებით დამოუკიდებელ ფაბულას. ასეთია „ათას ერთი ღამე“, ბოკაჩოს „დეკამერონი“, უფრო გვიან ასეთი ჟანრის შემოქმედებას ეკუთვნის ლერმონტოვის „ჩენი დროის გმირები“, გოგოლის „საღამოები ბუჩიურზე“... და აგრეთვე თანამედროვე მწერლის ერდბერგის „ჩინური ნოველები“.

თანამედროვე მწერლობისთვის, როგორც ეს „შეერთებული“, ისე ცალკეული ნოველა ფრიად საინტერესო ლიტერატურულ ჟანრს წარმოადგენს. არავის არ შეუძლია უარყოს ნოველა იმ საბუთით, რომ კლასიკურმა რეალიზმმა თავისი დამთავრებული სახე სოციალოგიურ რომანში მიიღო. დღეს უნოველოდ მწერლობა ვერ იხიერებს მარტო რომანებით, ისე როგორც ვერავითარი არმია ვერ იბრძოლებს მარტო გაუბიკებით.

ნოველის განსაზღვრა ძნელია, ისე კი უნდა ითქვას, რომ მას რომანისაგან პირველ რიგში ასხვავებს სიუჟეტის სიმარტივე.

კარგი რომანის სიუჟეტი წააგავს მრავალსართულიან მონუმენტალურ შენობას, რომელსაც ყოველი ეტაჟი თავის საკუთარ სტილზე აშენებს. ნოველის სიუჟეტი კი უბრალოდ დამარტივია, თუმცა არაერთფეროვანი, არამედ მკვეთრი, კონკრეტული, ნოველა გამოსაცდელი რამაა, მწერლის სკოლაა, რომ მან ისწავლოს მოვლენის მოკვეთილად დახასიათება, ხშირად გადაკვირვითაც უნდა ილაპარაკოს. მაგრამ თავის სისხარტით, სწრაფი სიახ-

ლით და ხანდახან მოულოდნელი დაბოლოებითაც უნდა განაცვიფროს მკითხველი, გარკვევით შეაძულოს მას რაიმე ან შეაყვაროს. ამიტომ ნოველის ფაბულად ვერ გახდება უკვე მოვლილი, გაცვეთილი ამბავი.

ლეო ქიჩელი ჩვენს მწერლობაში ერთ-ერთი საუკეთესო ნოველისტია. თავის „ნოველებს“ წინასიტყვაობაში ის აღნიშნავს, რომ დამთავრა ძველი პერიოდი თავის შემოქმედებისა და მტკიცე წერტილი დაუსვა მას. დ მართლაც, ეს წიგნი ორ ნაწილად იყოფა, აქ არის ძველი ლეო ქიჩელიც და ახალიც. ახალი ნოველების მკვეთრი ნიმუშები არის „ჯიუტი“ და „ჰაკი აბა“. ხოლო მის ძველ ნოველებში სკრბობენ იმპრესიონისტული და ნაწილობრივ სიმბოლისტური განწყობილებანი. როცა ნოველა ფანტასტიკაში გადადის, ის უკვე ზღაპრად იქცევა. ამ ხასიათისა უმთავრესად ლეო ქიჩელის ძველი ნოველებია „სტეფანე“, „ჯადოსანი“, „ცოდვის შვილები“ და სხვ. ამ ნოველებში მთავარ ფიქტს იძლევა „გაუცხოება“ ხეზი, კონტრასტი, არაჩვეულებრივი სიტუაცია და საინტერესო შემთხვევითობა. სტეფანე ახირებული ადამიანია, რაღაც ბრძენი მასხარას ტიპია, რომლის მსგავსიც გვხვდებოდა ხოლმე ძველად სოფელში. მისი ხასიათის მთავარი თვისება—ტყუილია, ეს ადამიანიც თვითონ განსახიერებელი სიტუაცია. ასეთივე არაჩვეულებრივი და უცნაური ტიპია „ჯადოსანი“ ტაგუ, ამ უკანასკნელ ნოველას აქვს აშკარა ზღაპრული და მითური ხასიათი.

ეს ნოველები ახასიათებენ მწერლის შემოქმედებითი მეთოდის რაობას იმ პერიოდში, როდესაც ის გატაცებული იყო დეკადანსით. მაგრამ დეკადანსი უფრო მძაფრდაა გამოთქმული ქიჩელის ფილისოფიურ ნოველებში; ასეთებია „ბერი და ყორანი“, „მე და ჩემი ორი მე“, „შეურაცყოფილი“, „დაბურული წარმოცობა“, „სიკანდრი“. „ბერი და ყორანი“—დაპირისპირება პრისტიანული ასკეტის შიშისა დ. ამქვეყნიურ „მიწიურ“ ცხოვრებისა, ნოველა ალფეროიულ ფორმითაა აგებული, მაგრამ მისი აზრი მაინც ნათელია: ყორანი სათნოების



უცხოელები ათვალეობენ თეატრალურ გამოფენას

თეატრალური ფისტივალი

(ჩენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

მოსკოვის თეატრებმა მიმდინარე სეზონი დაიწყეს თეატრალური ფესტივალით, რომელიც მოაწყო „ინტერისტმა“. ფესტივალზე ჩამოვიდა 200-ზე მეტი უცხოელი, მათ შორის ყველაზე დიდი დელეგაციები: ინგლისიდან, ამერიკიდან, საფრანგეთიდან და ჩეხოსლოვაკიიდან. სტუმრებს შორის უნდა იყვნენ—ავტორები, რეჟისორები, კრიტიკოსები, თეატრალური ორგანიზატორები...

საერთაშორისო თეატრალური საზოგადოების ხელმძღვანელებმა გამოთქვეს სურვილი მომავალში საბჭოთა თეატრ-

ლური დელეგაციის მონაწილეობის შესახებ მათ კონგრესებში.

ფესტივალის რეპერტუარი შედგებოდა 10 სპეციალურად შერჩეული სხვადასხვა თეატრის დადგმებიდან.

ეს ფესტივალი,—განაცხადა ანდრეი მობრემი,—წარმოადგენს იმ მშვენიერ ღირას, რომელზედაც უკრავს თეატრალური ხელოვნების ყველა ბრწყინვალე გამები. საბჭოთა მთავრობას უნდა გადაუხადდოდ მადლობა იმისათვის, რომ დრამატული ხელოვნება აიყვანა ასეთ სიმაღლეზე.

მესამე ფესტივალი შედგება 1935 წ. სექტემბერში.

და სარწმუნოებრივი სიკეთის ეთიკამ გაიტაცა, იგი მოხიბლა ბერის რელიგიურმა გალობამ, დაანება თავი ლეშზე ნადირობას და ლოცვა დაიწყო. მაგრამ ბერის სიკვდილის შემდეგ ისევ გაიღვიძა მასში სიცოცხლის ძალა და მიხვდა, რომ ბერის სიცოცხლე—უზორობა იყო, მიხვდა, რომ ამ ქვეყნიურ ცხოვრებას ვერავითარი სამოთხე ვერ შეეღებოდა. „შეურაცყოფილი“ ქიჩელი აშკარად ქადაგებს იდეალისტურ ფილოსოფიას, ამ ნოველით თითქმის ცილილობს დაამტკიცოს, რომ სინამდვილე მოჩვენებაა, ნოველის გმირს ვერ უპოვია იმის კრიტიკიუმი თუ რა საბუთით ვუწოდებთ ერთ ფაქტს სინამდვილეს, ხოლო მეორეს ილუზიას.

ასეთივე იდეალიზმის ქადაგება „მე და ჩემი ორი მე“, ეს ფსიქოლოგიზმი, ადამიანის სულის მეტაფიზიკური ძიება იყო იდეური ავადმყოფობა, რომელიც მოდებული ჰქონდა წვრილობურუპიზიულ მწერლობას რეგულაციის წინა პერიოდში. ქიჩელის ნოველების თემა ძალიან ხშირად არის სიყვარული, მაგრამ ეს ნამდვილი ადამიანური სასიცოცხლო გრძობაც მეტაფიზიკურ ნილშია გახვეული და მკითხველის თვალში იკარგება სინამდვილე. მწერალი თითქო ვერ ამჩნევს ზღვარს სინამდვილესა და ფანტასტიკურ ზმანებას შორის.

„დაბურული წარმოდგენაში“ სიყვარული გაგებულია, როგორც ამ ქვეყნის მიღმა არსებული რამ, რასაც ვერ მისწვდება ადამიანი, ვერასოდეს ვერ შეიგრძნობს ნამდვილ სიყვარულს. ეს ნოველა მართლაც და სინთეზია ქიჩელის შემოქმედების ამ პერიოდისა. მასში დაპირისპირებულია ცხოვრების პროზა და პოეტის ოცნება. ერთის მხრივ, აქ მოსჩინს მეფავობა და სიბნობურ, ცინიზმი, ადამიანის დაცემა, მეორე მხრივ მასთან დაპირისპირებულია ყველივების და ტკიბილი სინდერების ტრანსცენდენტური ქვეყანა. აღნიშნული ნოველის გმირთა ფიგურა აბსტრაქციუბში იშლება და

იმავე წუთს ქრება. ეს უფრო თეატრალური ნიღბებია, ვიდრე ნამდვილი ადამიანები. ამ ნოველებს ახასიათებს მისწრაფება ყოველგვარ უცნაურს, იდეალის, ბუნდღვანისა, არანორმალურსა და მძიმესადმი.

ყველაფერ ამის შედეგად ჩვენთვის უკვე ნათელია ქიჩელის ამ ნოველების დედა აზრი: აქ მწერალი მთავარ ყურადღებას იმას კი არ აქცევდა, რაც აკავშირებს ადამიანს რეალურ ცხოვრებასთან, არამედ იმას, რაც მას აშორებს ამ სინამდვილისაგან, რომელიც ძალზე შავი ფერებითაა დახატული და ძალზე მწუხარე პიეზუს იძლევა. ყოველი მისი გმირი ან მადლიდან უცქერის ცხოვრებას, ან ჯადოქარია, ან უცნაური ხასიათის მქონე. ამ სკეპსის, რა თქმა უნდა, აქვს თავისი პოლიტიკური ძირიც. ამ იდეების შესაფერისად ქიჩელის ძველი ნოველების მხატვრული ფორმაც, ეს ავადმყოფური იმპრესიონიზმი და სიმბოლიზმი იყო.

ქიჩელი თითქმის მიხვდა, რომ ეს არ იყო სწორი გზა, ამიტომ მისმა ნოველმა ნაწილობრივ დასტოვა ფანტასტიკური კონტრასტების და პარადოქსების გზა ამას ამტკიცებს მისი ნოველები „ჯიუტი“ და „ჰაკი აბა“. აქ კლასთა ბრძოლა იგრძნობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ „ჰაკი აბა“. ესაა უკანასკნელი სასიკვდილო გაფართობა აფხაზეთის ძველი ანტიოკრატისა. ნოველაში კარგადაა აგრეთვე ასახული სამოქალაქო ომში გამომბრძმედილი წითელი ფლოტის მებრძოლი არმია. ეს ნოველა უახლოდებო რეალისტურს, მწერალი სანტიმენტალური სიყვარულის რომანტიკას აქ არ იჩენს. აქ ნოველა სოციალიზმის გზას ადგება და ამის შესაფერისად ამ ჟანრში ცვლილებებიც იწყება. შემთხვევითობას და მისტიკურ საიდუმლოებებს ფაბულის ნათელი გაშლა-განივითარება სცვლის. ამ გზის უკირატისის შესახებ ლაბარაკი უდემეტია.

სახვითი ხელოვნების ქრონიკა

მხატვართა გალერეაში 8 ოქტომბერს მოეწყო ადგილობრივი მხატვრების შეხვედრა მოსკოვიდან ჩამოსულ კრავჩენკოსთან, იქვე 12 ოქტომბერს გაიხსნა მხატვართა კრავჩენკოს გრაფიურების გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნება 100 ექსპონატი.

მეტახის უნოვანის ალბა. მთავარი კორპუსის გარდა, მეტახის დანარჩენი შენობა დაანგრუდება; ამჟამად წარმოებს მთავარი კორპუსის კაპიტალური შეკეთება, სადაც ახლო მომავალში გაიშლება სამუხეუმო ექსპონატები. ორი-სამი წლის შემდეგ მთავარი კორპუსიც აიღება. დაჩრებდა მხოლოდ ეკლესია, როგორც ძველი ძეგლი, ბუხებრივი ნაგებობანი, და მეტახის ციხის ტერიტორიაზე კი გაშენდება ხელოვნების მუზეუმისათვის შესაფერი შენობა. ამ შენობის გეგმის შესადგენი წინასწარი მუშაობა უკვე დაწყებულია: შენობის ასაგები ადგილი გაზომილია, მოხდენილია მეტახის ტერიტორიის ტოფოგრაფიული გადაღება. ყველა ის შენობა, რომელიც მეტ-

ხის გალავანთან გარეთაა მიდგმული აღებული იქნება და ახლად განზრახულ შენობისაკენ გაიყვანება მისასვლელი გზები, ქვაფენილები, მოეწყობა მოედნები და ხელოვნური პეიზაჟები.

წინასწარი სამუშაოების ჩატარების შემდეგ გამოცხადებული იქნება კონკურსი საკავშირო მასშტაბით მეტახის სამუხეუმო შენობის საუკეთესო პროექტისათვის.

მეტახის მუზეუმის სპარსული მხატვრობის ალბომი. მეტახის მუზეუმის სპარსული განყოფილება იშვიათი უმუშეს შეიცავს. საბჭოთა საზოგადოების ფართო წრეების წინაშე ამ ნიმუშების გამოფენის მიზნით მეტახის მუზეუმის დირექტორი ბეკდავს მოსკოვში სპარსული მხატვრობისა და ექსპონატების ალბომს და ცალკე სურათებს. ამ სამუშაოს მუზეუმის დავალებით ხელმძღვანელობას უწყებს და საქმის სპეციალისტი ამხ. ყაუხჩი შვილი.

ლიტ. გაზეთი

კუჩხა ბუნების მეცნიერული მოკვლევები

ყოველ მოვლენას თავისი ფაგადასავალი გააჩნია, იტყვდა ხოლმე ფიბტი. მეც, ვიდრე მეცნიერულ გამოკვლევას შეუდგებოდე, მინდა გიამბოთ თავგადასავალი. მთავრობის სასახლეში—მეცხრე დღეა—გრძელდება საგანგებოდ მოწვეული კომისიის სხდომა. აქ არიან ყოველი დარგის მეცნიერები, ექიმები, თქვენ წარმოიგინეთ ბიოლოგიებიც კი—და იკვლევენ უცხო ადამიანს.

მეცხრე დღეა—ადამიანის სულისა და ანატომიის უდიდესმა მცოდნეებმა ვერ გამოიკვლიეს, თუ ვინ არის იგი.

პირველი საკითხი, რამაც მიიქცია საერთო ყურადღება, ეს იყო ყური. ამ ამბავს არ გააჩნდა არც ერთი ყური, ორგანო—მოთავსებული კისრის ზემოთ სავდეთქელთან, მონაზულობით „ე“ ასოს მსგავსი... მაგრამ, ჩენი გაუგებრობა მოულოდნელად გაჰფანტა გაზეთის ერთმა რედაქტორმა:



—ეს კაცი შექმნილია,—თქვა მან—ჩვენ წინაპართა მსგავსად, იგი ცხოვრობდა ფეოდალურ საუკუნეში და ყურმობრილი მონა იყო როგორც მეფის, ისე ღვთისა... დღევანდელმა შემოქმედმა ჩვენი კლასობრივი ხაზი გაატარა უთუოდ, როცა იგი ყურმობრილი მონად დაკისრდა... რაღა თქმა უნდა ჩვენ არ შეგვიძლია—სიხარულით არ დავთანხმებოდით ამ გონებაშეხილ და მეცნიერულ-პოლიტიკურ

მოსაზრებას. მაგრამ, ძირითადი საკითხი მაინც ღიად დარჩა,—ვინ იყო ეს ადამიანი?—გმირი ვეფხის ტყაოსნისა,—ტ რიელი, ავთანდილი, ნესტან დარეჯანი თუ თინათინი?—უკეთ რომ თმქვათ, ქალი იგი თუ მანაკაცი?

აი, ამის გამოკვლევის მოუუნდა კრება ცხრა დღეს (სურათზე უკანასკნელი დღეა. ვეფხის ტყაოსნის გმირს გარშემო ცნობის-მოყვარე მეცნიერები დასტრიალებენ; მათ შორის მეც,—მარჯვნიდან მარცხნივ, მეორე).

ერთი მწერალი საკითხს ნაწილობრივ სწორად აყენებდა, მაგრამ საბოლოოდ ვერ დაასაბუთა, რადგან მწერალთა კავშირის წევრი არ იყო. ეს საკითხი მიწადა მე ამ წერილში განვავითარო.

მწერალს მოჰყავდა რუსტევეანის სიტყვები ვეფხის ტყაოსნიდან: „ლეკვი ლომისა სწორია მუ იყოს თუნდა ხვადია“.

რომელი ნომერი იყო. ჰყავდა თავისი წარმოდგენილი დამუშავებული კრებაში). ეს მოსაზრება მე სინამდვილის აღმოჩენად მიმაჩნია,—მას ასახებდას ამ უკანასკნელად გამოკვლეულ ვეფხის ტყაოსნის ილუსტრაციებიც და ვამტკიცებ, რომ პოემის ტექსტიც მათი მიხედვით უნდა შესწორდეს. ბოლოს და ბოლოს „ვეფხის ტყაოსნის“ ასწარი რედაქცია არსებობს, მის ტექსტს ვილაც გადაწერა ჩემი მიხედვით თუ ასწორებდენ, რატომ არ შეიძლება რეპროდუქციის მიხედვით შესწორდეს. მით უფრო რომ ეს იქნება შემართი და საბოლოო რედაქცია.

დაწერილებითი გამოკვლევა შორს წაგვიყვანდა, მაგალითისთვის ერთი ტეპიცი კმარა,—აი როგორ ავგიწერს რუსთაველი ტარიელს: მას ტანსა კაბა ემოსა. გარე თმა ვეფხის ტყაოსნისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა. ხელთა ნაჭედი მთრახვი ჰქონდა უმსხოსი მკლავისა. ნახეს და ნახვა მოუხნდაო უტყვასა სანახავისა.

პატივცემული კრიტიკოსებო, რა თქმა უნდა, ტარიელი აქ რუსთაველს ქალად ჰყავს დახატული (ამიტომ იყო რომ მხატვრებმა მას ვეფხის ტყაოსნის ბერეტი დაახურა), რუსთაველი ხომ სწერს „მას ტანსა კაბა ემოსაო“, რა ვუყურო, რომ მე-სამე სტროქონის მიხედვით: „ხელთა ნაჭედი მთრახვი ჰქონდა უმსხოსი მკლავისა“ აეთი მათრახვი მხოლოდ ქალს შეეფერება. მე პრაქტიკული კრიტიკოსის ცოლი მიიხიავს. რომელსაც: „ხელთა ნაჭედი მთრახვი ჰქონდა უმსხოსი მკლავისა“...

თუ არა და გადამწერის უბრალო შეცდომასთან გვაქვს საქმე,—სტროქონი უნდა იკითხებოდეს ასე: „ხელთა ნაჭედი მთრახვი ჰქონდა უმსხოსი მკლავისა. მაიმანი საბა სულხან ორბელიანის განმარტებით—ფეხბრული, (იხ. ლექსიკონი) რაიც ერთხელ კიდევ ხელმძღვინით ადასტურებს, რომ ქართველ ქალი ფეხბრულია.

ამიტომ არის რომ ტარიელმა: „არცა დააგლო ტირილი, არცა რა გავიწა მან. არცა ვახლია ბაგეთათ თავი ვარდისა კონაშან.

ქალი რომ არ იყოს ტარიელი, ამდენ ტირილს როგორ შესძლებდა? ან და რაოდენ ვაჟაკს შეეფერება ვიტყვით: „არცა ვახლია ბაგეთათ თავი ვარდისა კონაშან“. და მხატვრულ მართალი იყო ყურმობრილი რაინდი ქალს რომ დაამგვანა.

ღრთა, ამხანაგებო, საბოლოოდ შესწორდეს პოემის ტექსტი.

საჯარო სამკითხველი. 1934. 5. X.



პრეზიუმული წინადადება

ახალი გამოგონება კრიზისის გამო და-
ღრევილი სახის მხარულ გამომეტყვე-
ლების მისაცემად... კარკატურა ერთერთ
ევროპულ ურთიერთგადასაყრდენილია
„ნინანგ“ პრაქტიკულ წინადადებას ვაძ-
ლევეთ „ნინანგ“ ეს გამოგონება თავის უაზ-
როს ნომერთან ერთად უფასოდ დაური-
გოს მკითხველს. მაშინ „ნინანგის“ მკით-
ხველის მხარული გამომეტყველების
მიღებაც მიღწეული იქნება.

გამომცემლობა ფაქტობრივი
დღეს საკვირველ შემთხვევას ჰქონდა
ადგილი. დაწესებულებაში, წარმოადგი-
ნეთ, ერთი კაცი აღმოჩნდა. მართალია,
იგი მხოლოდ დარჯის მოვალეობას
ასრულებს და მომსახურებს პასუხს ვერ
გასცემს, მაგრამ ესეც დიდ მიღწევად
უნდა ჩაითვალოს ამ მეტად პატივცემულ
დაწესებულებისთვის.

დემნა შენგელაია

რომანისტი დემნა შენგელაია
შეხვდა თურმე ფეროში მომუშავე პეტე
ფ რ ი დ ო ნ ა რ ო უ შ ე ი ლ ს და ყურში
წასურჩულა: ფრიდონ! მასალები გექნება
ფეროს შესახებ, მამაბე, თუ ძმა ხარ,
რომანი უნდა დაგწერო. არაფერ იცი
რით დასრულდა მათი საუბარი.

პანტ. ჩხიკვაძე

დავით კლდიაშვილი უკვე ორი
წლის გარდაცვლილი იყო და მამადავით-
ზე დაკრძალული.

რუსთველის პრესბუქტზე დავითის
შვილს, მწერალ სერგო კლდიაშვილს
ხვდება ვინმე ინტელიგენტი, დავითის
ძველი ნაცნობი.

სერგო გადმოგვეცემს: მისამხმელის შემ-
დეგ ნაცნობი შემეკითხა, სადაა ახლა და-
ვითი და როგორ არის.

— მე ხელი გავიშვირე მამადავითისკენ
და ვუპასუხე, რომ დავითი ახლა იქაა
მეთქი.

— რა გამძლე და მაგარია კაცო ეს
ძველი ხალხი.— მითხრა, ნაცნობმა.— ჩვენ
ხომ ვერ ავიტანთ ამდენს! აბა, რა ამი-
ყვანს ახლა ყოველ დღე მამადავითზე...
საკვირველია, დემრთმანი!..

ნიკოლო მიწიშვილი.

გვატყობინებენ, რომ ტ ი ც ი ა ნ ტ ა-
ბ ი ძ ე ადგენს მსოფლიოში ცნობილ მწე-
რალთა სახელთა მარჯვენებს. ერთ-
ერთი თავი ამ წიგნიდან საბჭოთა მწე-
რლების ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყ-
ვაში შეუტანია და წაუკითხავს კიდევ.
ამბობენ საოცარი შთაბეჭდილება მოაზ-
დინა მსმენელებზე.

(რედაქციაში მიღებულ ქრონიკებიდან)

სანდრომ უთხრა დემიან ბენდის:
— მო, ერთმანეთს ვუთხრათ ორმა,
ვწუხვარ, ეგრე რომ დაბერდი,
არ გივარება ლექსის ფორმა!
ყველას ვიციხვებ: შენს თუ სხვების
ლექსებს მიეთ-მოეთისას,
ავტორი ვარ, შემთხვევითი,
მე „ფოლადის პოეტისა“!
დღეს ლექსები ვის რათ უნდა
დროული და მჭუხარენი,
ვეთანხმები, ძმაო, სულმთლად,
რასაც ამბობს ბუხარინი!
შენი ლექსი დღეს არ ვარგა,
დრო მოითხოვს სულ სხვა ლექსებს,
სწერე ძმაო, სწერე კარგად,
სწერე ისე, როგორც მე ვწერ!

ალიო მაშაშვილი

— ამხანაგებო! უყურადღებობისა
და უდისციპლინობის აშკარა მაგალითს
წარმოადგენს ამხანაგი იაკობა ბახლადე.
მიუხედავად იმისა, რომ მას რამდენჯერმე
შეუთვალეთ, ოფიციალურადაც კი მიე-
წერეთ, ის სამი თვის განმავლობაში არც
ერთხელ არ დასწრებია კრებას. ამიტომ
ასეთი უდისციპლინო ამხანაგი ღირსია
პროფკავშირიდან გარიცხვისა. ვინ არის
მისი გარიცხვის მომხრე? ასწიეთ ხელე-
ბი...

— ვის რიცხავთ, კაცო, — შეგეკითხა
კრების თავმჯდომარეს ამ დროს შემო-
სწრებული პროფკავშირელი.

— ამხ. ბახლადეს, რომელმაც გამოიჩინ-
ა უდისციპლინობა და...

— იაკობას? — ჰო!

— კაცო, ის სამი თვეა რაც დავმარ-
ხეთ, ქუთაისის საავადმყოფოში მოკვდა
ტიფით.

აკაკი ბელიაშვილი

გამომცემლობაში ასეთ დიალოგს
ჰქონდა ადგილი:
კონსტ. ჭიჭინაძე: კაცო, დეაკვიდ ამ
„ვეფხისტყაოსანს“, ჩემი სიცოცხლის ნა-
ხევარი მას შეგსწირე... შენ კი ისე უდიე-
რად ეპყრობი ამ საქმეს, მგონი, არც კი
წაგრიტხავს ეს წიგნი!

დირექტორი: „რა ვუყოთ მერე, რო
არ წამოვიტოვებ?“

ალიო მაშაშვილი

ქუთაისის მფარველთა კავშირის
განყოფილებაში წვერებად დამტკიცებუ-
ლია შვიდი წევრი (დია ჩიანელი,
ვან. დარასელი, ილია ხოშტა-
რია, დომ. თომაშვილი და სხვ.
და შვიდი კანდიდატი (გოგი ჯიბლა-
ძე, მამია ასათიანი და სხვ.) გან-
ყოფილების თავმჯდომარეა დ. ჩიანელი და
მდივანი ი. ხოშტარია, სარევიზიო კომი-
სიის თავმჯდომარე: ვ. დარასელი, ლი-
ტერატურულ კაბინეტის ხელმძღვანელი
გ. ჯიბლაძე.

გაზეთ „სიტყვა და საქმის“ გამოს-
ვლა მწერალთა კავშირის ქუთაისის გან-
ყოფილების დააწესებულა უნდა გა-
ნახლდეს მიმდინარე წლის ოქტომბრიდან.

მფარველთა უკიდურესი უაღრესი
მწერალთა კავშირის ქუთაისის გან-
ყოფილებამ ადგილობრივი ძალებით ჩა-
ატარა რამდენიმე მოხსენება.

„ზამთრიანი წიგნი“ ასეთი სა-
თაურით ნ ი კ ო ლ ა მიწიშვილმა
გადასცა სახელგამს გამოსაცემად ლიტე-
რატურულ-პუბლიცისტური წერილების
წიგნი. სახელწოდებით: „ზამთრიანი წი-
გნი“ წიგნი მოთავსებულია შემდე-
გი მასალა: „ქართული მწერლობა თე-
ბერვლის შემდეგ“, „ოცდასამი აპრილა-
მდე“, „ოცდასამი აპრილის შემდეგ“,
„ქართული საბჭოთა პოეზია დღეს“,
„ოცდაათიანი წლების მწერლობა“, „ახა-
ლი სალიტერატურო ენა“, „დამწვებ
მწერლებს“, „სიტყვა საკავშირო მწერალ-
თა ყრილობას ქართული მწერლობის
შესახებ“.

სამედიკო დაიწყო ახალ-
გაზრდა დამწვებ სომხ მფარველ-
თა წარს სისტემატიური მუშაობა.
დამუშავებულ იქნა მწერალ ტიხონოვის
სტატია „უენინგრადელ პოეტების შე-
სახებ“. წარს მუშაობა იწარმოებს ყო-
ველ დასასვენებელ დღეს 2 საათიდან.

დამბეჭდა და ამ დღეებში ბახარზე
გამოვა გასაცემად სახელგამის გამოცემა
სომხ მწერალ მარკარ ავეტისიანის რო-
მანი „ცეცხლის ალი“ და გ. ხალათიანის
ლექსთა კრებული.

ლიტ. ფონდი. მწერალთა საკავშირო
ლიტფონდის მიერ საქართველოს ლიტ-
ფონდისთვის მეოთხე კვარტალში გამო-
ყოფილია 150.000 მანეთი.

სახელგამს გამოსცა საქართვე-
ლოს საბჭოთა მწერლების კავშირის
სომხური სექციის წევრთა ნარდოსის,
ავეტისიანის, ატრინის, პეტროსიანის,
დარბინიანის, მესიანის, მაროს, ვ. სიმო-
ნიანის და სხვ. ნაწარმოებთა ანტოლო-
გია.

საკრებითან კულტურული
უკიდურესობის დასაყრდენი

სპარსეთთან კულტურულ ურთიერთო-
ბის დასამყარებლად საქართველოს საბ-
ჭოთა მწერლების კავშირმა გადაუგზავნა
თეირანის უნივერსიტეტს ქართული
მწერლობის (კლასიკური და თანამედრო-
ვე) ნიმუშები თხოვრით, რომ უნივერსი-
ტეტმა გადმოუგზავნოს მწერალთა კავ-
შირს თავისი გამოცემები.

მ უ ს ი კ ა

არსდება ქართული კავება. ხელ-
მძღვანელად მოწვეული იქნება ცნობილი
ლოტბარი მელიტონ კუხიანიძე.
ქართული კავება, სიმღერების შესრუ-
ლების გარდა, გამოზრდის სასიძლერო
ხელოვნების კადრებს—საგუნდო დირი-
ჟორებს.

ქუთა ლილუას გარდაცვალებ-
ბიდან ათი წელიწადი სრულდება 15
ოქტომბერს. თავისი მეტად სასარგებლო
და ნაყოფიერი მუშაობა—გუნდის საშუა-
ლებით ხალხური სიმღერების ხალხში
დაგროვება, ლილუამ პირველად ფოთში
დაიწყო. შემდეგ ის მოღვაწეობდა აფხა-
ზეთში, ქუთაისში, ხოლო უკანასკნელად
ტფილისში. ფოთის საზოგადოებრიობა
მართავს მისი ხსოვნის აღსანიშნავ სალა-
მოს. სალამოში მონაწილეობის მისაღებად
განსაკუთრებული იქნება ყველა ეს მა-
სალა, რაც მუშაობის პროცესში აღმო-
ჩნდება.

კოლხიდის მხარეთმცოდნეობის
მუშაობი. კოლხიდის ქაობებისა და
ფოთის მიდამოების დაშრობასთან დაკავ-
შირებულმა სამუშაომ აუარებელი მზა-
რეთმცოდნეობის მასალა დააგროვა. ფო-
თის ქალაქის აღმასკომმა მოაწყო კოლ-
ხიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სა-
დაც მოთავსებული იქნება ყველა ეს მა-
სალა, რაც მუშაობის პროცესში აღმო-
ჩნდება.

გარკვევა ხელისმწერა
1934 წლის სრული კომპლექტის გაცემით.
„ლიტერატურული ზაკავაზი“
ა/კ. ს. ფ. ს. რ. ხალხთა ყოველთვიური ჟურნალი ლიტერატურისა და ხელოვნების.
ხელისმწერის პირობები:—1 წლით (№ 1-დან) 36 მან.
6 თვით 18 მან.
3 თვით 9 მან.
ცალკე ნომერი 3 მან.

„ნა რუბეჟე ვოსტოკა“
ყველდღეადური გაზეთი ლიტერატურისა, კრიტიკისა და ხელოვნების.
ხელისმწერის პირობები:
1 წლით 10 მან. 80 კ.
6 თვით 5 მან. 40 კ.
3 თვით 2 მან. 70 კ.

„ფიზკულტურული ზაკავაზია“
ყველთვიური მასიურ-სპორტიული ჟურნალი
ხელისმწერის პირობები:
1 წლით 6 მან.
6 თვით 3 მან.
3 თვით 1 მან. 50 კაპ.

ს ა ხ ვ ი ბ ნ ი
1934 წელს გამოიცა და იყიდა
ს. ეული—ფოლადის პოეტი 2 მ. 50 კ.
ტ. ტაბიძე—სომხეთში 50 „
ს. ჩიქოვანი—ლექსები 8 მ. 70 „
გ. ქუჩიშვილი—ლექსები 3 მ. 50 „
მ. ჯავახიშვილი—კვაკვი კვა-
კანტირაძე (ტ. II) 7 მ.
კ. ბორჯღინი—სამეგრელო
ია ეკალაძე—რჩეული ნაწე-
რები 4 მ. 50 „
ვ. კატეტიშვილი—ხალხუ-
რი პოეზია 10 მ.
გ. ლონდინი—მარტინ იდენი 6 მ.
კ. ლეონიანი—გვირაბი 4 მ.
ლ. ქიჩიშვილი—ნოველები 6 მ. 20 „
ა. ერისთავ-ხოშტარია—მო-
თხრობები 7 მ.
შ. დადიანი—პიესები 6 მ.
შ. დადიანი—გვ. ნინოშვილი 50 „
ა. ს.—ვეფხისტყაოსნის ისტ.-
გეოგრ. სარჩული 1 მ. 50 „
ბ. ქიქოძე—ლიტერატურული
საქართველო 8 მ.
ბ. ჩხეიძე—მოთხრობები 3 მ. 60 „
ელ. პოლუმორდინი—ილ-
ვიძებენ მთები (რო-
მანი) 6 მ.
კ. გამსახურდია—გოეტეს ცხოვ-
რების რომანი 10 მ.
ტ. ტაბიძე—რჩეული ლექსები 7 მ.
პ. ჩხიკვაძე—მოთხრობები 8 მ.
მ. ტაროშვილიძე—ქართული
ლიტერატურა 1 მ.

და ნ ტ ე
ჯ ო ჯ ო ხ ე თ ი
ა. ქუთათელი
პირისპირ ფ. 6 მან.
ნ. ლორთქიფანიძე
ოთხტომეული ფ. 16 მან.
კ. ლორთქიფანიძე
ძირს სიმინდის რესპუბლიკა
ფ. 7 მან.
მოკლე ხანში გამოცა:
ინჟინერი—ჩაროზი
გ. მუშიშვილი—გველის პერანგოსანი
ტურქული მწერლობის კრებული

კ ო ლ ი მ - კ ა მ ო რ ლ ე მ თ ა
გამომცემლობა
იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა
შემდეგი ახალი წიგნები:
1. პ. საყვარელიძე—„დაფანტული
ფურცლები“.
2. გენკინი—სისხლიან კვალზე.
3. ვ. ლუარსაბიძე—ქართული ლიტერ.
ჟირონდა“.
4. მარკო დე კუსტინი,—„ნიკოლოზ
პირველის რუსეთი“.

მარკანიშვილის ს.ხ. თაბარი
1934—35 წლის
რ ე ვ ი რ ტ უ ა რ ი
შალვა დადიანი—სოლომონ ისაკი
მეჯღანუაშვილი (ლ. არდაზიანის მოთ-
ხრობის მიხედვით).
პოლიკარბე კაკაბაძე—ბახტრიონი.
ვიქტორ გაბისკირია—ურთა—(სამეგ-
რელს გლეხთა აჯანყება).
ა. კორნეიჩიკო—ესკადრის დაღუპვა
(თარგ. გ. ფრონისპირელის) (საკავშირო
კონკურსზე პრემირებული).
გიორგი თაქაიშვილი — გათიშვა
(საქ. კონკურსზე პრემირებული).

„ლიტერატურული გაზეთი“
გამოცემის ექვსდღიურად—ყოველ გამოცემულ დღეს
გამოსახველ დღეებში იყიდა საბჭოთა კავშირში.
გახსნილია ფლიური ხელისმწერთა.
ფლიური ხელისმწერთა დაუკიდრებლად
კავშირს კავშირის ალბომი ლიტერატურული
ცხოვრებიდან, პატარა
ფელატონების და იუმორისტული
ლექსების წიგნები და კლასიკოსების
თარგმანების კრებული.
ფ ა ს ი : თვიურად 1 მან. 50 კაპ.
საცალკო 30 კაპ.